

ურთიერთგაგების მემორანდუმი

დადებული

საქართველოს მთავრობას,

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ
ოპერატორსა“

და

სს „ალიანს ენერჯის“

შორის

თბილისი

2011 წელი

წარმოდგენილი ურთიერთგაგების მემორანდუმი (შემდგომში „მემორანდუმი“) დადებულია 2011 წლის 18 ნოემბერს („ძალაში შესვლის თარიღი“)

ერთის მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ალექსანდრე ხეთაგურის მიერ,

მეორეს მხრივ, სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში „ესკო“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ირინა მილორაევას სახით,

და

მესამეს მხრივ, სს „ალიანს ენერჯი“, რომლის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქ. №47/57 (შემდგომში „კომპანია“), წარმოდგენილი ირაკლი ტყეშელაშვილს მიერ,

დებენ წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმს შემდეგზე:

1. მიზანი

ურთიერთგაგების მემორანდუმის მიზანი არის მხარეთა თანამშრომლობა, რათა ჩამოაყალიბდეს მათ შორის შეთანხმების მთავარი საფუძვლები და დეტალურად დადგინდეს მხარეებს შორის საქმიანი კავშირის ვადები და პირობები.

2. ურთიერთგაგების მემორანდუმის მოქმედების სფერო

2.1. კომპანია უზრუნველყოფს პროექტის განხორციელებას, რომელიც მოიცავს წინამდებარე მემორანდუმის დანართით გათვალისწინებული პიდროელექტროსადგურის მშენებლობას, ოპერირებას და ფლობას (ექსპლუატაციას) (შემდგომში „პროექტი“) საქართველოს ტერიტორიაზე.

2.2. წინამდებარე მემორანდუმის დანართში მოცემულია კომპანიას მიერ ასაშენებელი პიდროელექტროსადგური (შემდგომში „ობიექტი“). მათ შორის, შემდეგი ინფორმაცია:

ა) ადგილმდებარეობა;

ბ) სიმძლავრე;

გ) განსახორციელებელი ინვესტიციის სავარაუდო მოცულობა;

დ) მშენებლობის ნებართვის მიღების, მშენებლობის დაწყებისა და ექსპლუატაციაში გაშვების ვადა;

ე) წლიური გამომუშავების ოდენობა.

I.T
A. თუქუაშვილი

2.3. კომპანია უფლებამოსილია მთავრობასთან წინასწარი შეთანხმებით წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული მისი უფლებები და/ან ვალდებულებები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირს.

3. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

3.1. პროექტის განხორციელების მიზნით, წინამდებარე მემორანდუმით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კომპანია:

ა) უზრუნველყოფს ყველა საჭირო ტექნიკური, ეკონომიკური და იურიდიული საკითხების შესწავლას, ექსპერტიზასა და ანალიზს;

ბ) უზრუნველყოფს მის მიერ შემუშავებულ ტექნიკურ, ეკონომიკურ და იურიდიულ საკითხებზე ანგარიშების მთავრობისათვის მიწოდებას;

გ) უზრუნველყოფს საჭირო ინვესტიციების განხორციელებას, სავარაუდოდ ჯამში 2 800 000 აშშ დოლარის ოდენობით;

დ) უზრუნველყოფს დანართში მოცემული ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას, ოპერირებას და ფლობას (ექსპლუატაციას) განსაზღვრული ვადების სრული დაცვით. მათ შორის, საამისოდ საჭირო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ლიცენზიებისა და ნებართვების მოპოვებას;

ე) პერიოდულად – ყოველკვარტალურად – წარუდგენს მთავრობას სრულ ინფორმაციას პროექტის მიმდინარეობის შესახებ;

3.2. კომპანია იღებს ვალდებულებას, რომ პროექტის განხორციელებას იგი უზრუნველყოფს დანართში მოცემული ობიექტისათვის განსაზღვრული ტექნიკური, ეკონომიკური, ფინანსური, იურიდიული და სხვა პირობების სრული დაცვით.

3.3. ქვეყნის ელექტრომომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიის მიერ წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში აშენებული ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვებიდან 10 წლის განმავლობაში, თითოეული წლის ზამთრის პერიოდში, კერძოდ ნოემბერში, დეკემბერში და იანვარში ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის სრული ოდენობის რეალიზაცია (ელექტროენერჯის ბალანსის შესაბამისად) განხორციელდება მხოლოდ საქართველოს შიდა მოხმარების უზრუნველსაყოფად, რაც აისახება შესაბამისი წლის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსში, ან სხვა ანალოგიური ხასიათის დოკუმენტში.

3.4 3.3. პუნქტის მიზნისთვის, ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვებიდან 10 წლის განმავლობაში, ელექტროსადგურისათვის თითოეული წლის ზამთრის პერიოდში 3.3. პუნქტში მითითებული 3 თვის განმავლობაში ელექტროენერჯის რეალიზაცია, შესაბამისი პირის არჩევანით, განხორციელდება საქართველოში არსებულ ნებისმიერ მყიდველზე თავისუფალი (დერეგულირებული) ტარიფით, ან/და ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორთან (ესკო) წინასწარ გაფორმებული გარანტირებული

I. T
ა. მ. მ. მ.

შესყიდვის ხელშეკრულებით (სტანდარტული ფორმა, რომელიც შესაძლებელია იყოს ამ მემორანდუმის დანართი), რომელშიც ტარიფი განისაზღვრება 4,1 აშშ ცენტის ოდენობით;

3.5 წინამდებარე მემორანდუმის 3.3 და 3.4 პუნქტებში აღნიშნულ პერიოდში კომპანიის მიერ ობიექტზე გამომუშავებული ელექტროენერგია არ იქნება დისპეტჩირებული ექსპორტზე და რეალიზებული იქნება 3.4 პუნქტის შესაბამისად, ხოლო წლის სხვა დანარჩენ პერიოდში კომპანია თავისუფალია როგორც ბაზრის (ადგილობრივი/ექსპორტი), ასევე ელექტროენერგიის მყიდველის არჩევაში და გასაყიდი ელექტროენერგიის ფასის განსაზღვრაში.

3.6 კომპანიის მიერ, ობიექტების მშენებლობისა და ექსპლუატაციაში გაშვების უზრუნველსაყოფად, მთავრობაზე გადაცემულია საბანკო გარანტია, 340 000 (სამასორმოდცი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით, (ასლი თან ერთვის):

3.6.1. მთავრობა უფლებამოსილი იქნება გამოიყენოს კომპანიის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია, მოითხოვოს და მიიღოს გარანტიით გათვალისწინებული თანხა შემდეგ შემთხვევებში:

ა) კომპანიის მიერ ობიექტის მშენებლობის დაწყებისა ან ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების ვადების დარღვევის/გადაცდენის შემთხვევაში;

ბ) კომპანიის მიერ, ობიექტისათვის წინამდებარე მემორანდუმით ან მისი დანართით გათვალისწინებული სხვა პირობების დაუცველობის შემთხვევაში.

3.6.2. კომპანიის მიერ მთავრობისათვის გადაცემული ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2013 წლის 6 ოქტომბრის ჩათვლით. იმ შემთხვევაში, თუ მხარეებისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო გადაიწია (გაგრძელდა) ამ მემორანდუმით გათვალისწინებული, ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების ვადა, მთავრობა უფლებამოსილია მოსთხოვოს კომპანიას წარმოდგენილი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გაგრძელება ან იმავე პირობებით ახალი საბანკო გარანტიის წარმოდგენა. კომპანიის მიერ ასეთი მოთხოვნის მთავრობის მიერ განსაზღვრულ ვადაში დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, მთავრობა უფლებამოსილია მოსთხოვოს გარანტიის გამცემ ბანკს იმ დროს მოქმედი საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა.

3.7. მთავრობა 3.6.1 პუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის გამოთხოვის შემდგომ კომპანიასთან შეთანხმებით განსაზღვრავს ობიექტზე მშენებლობის ნებართვის მიღების, მშენებლობის დაწყებისა და ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების ახალ ვადებს. ასეთ შემთხვევაში კომპანიის მიერ, მთავრობის მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში წარმოდგენილი უნდა იქნას ახალი საბანკო გარანტია 3.6. პუნქტში მოცემული თანხის ოდენობაზე. მთავრობა უფლებამოსილია გამოიყენოს ახალი საბანკო გარანტია 3.6.1 პუნქტის შესაბამისად, კომპანიასთან შეთანხმებული ობიექტზე მშენებლობის ნებართვის მიღების, მშენებლობის დაწყების/დამთავრების და ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების ახალი ვადების მიხედვით. კომპანიასთან ამ პუნქტის

J.T

10.05.15

შესაბამისად, ობიექტზე მშენებლობის ნებართვის მიღების, მშენებლობის დაწყებისა და ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების ახალ ვადებზე შეუთანხმებლობის ან კომპანიის მიერ ახალი საბანკო გარანტიის წარმოდგენილობის შემთხვევაში მთავრობა უფლებამოსილია იმოქმედოს 3.8. პუნქტით.

3.8 კომპანიის მიერ 3.7. პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ ობიექტზე მშენებლობის ნებართვის მიღების, მშენებლობის დაწყების/დამთავრების და ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების ახალი ვადების დარღვევის/გადაცდენის შემთხვევაში, მთავრობა უფლებამოსილია წერილობითი შეტყობინების მეშვეობით, ცალმხრივად, შეწყვიტოს წინამდებარე მემორანდუმის მოქმედება, რაც განაპირობებს:

ა) შესაბამისი (კომპანიისათვის გადაცემული) მიწის ნაკვეთის თავდაპირველი მესაკუთრისათვის დაბრუნებას ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, იმ შემთხვევაში თუ თავდაპირველი მესაკუთრე არის სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობა;

ბ) კომპანიისათვის პროექტის განხორციელების უფლების ჩამორთმევას.

3.9. კომპანიის მიერ 3.6.2 პუნქტის დაუცველობის შემთხვევაში მთავრობა უფლებამოსილია წერილობითი შეტყობინების მეშვეობით, ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე მემორანდუმის მოქმედება რაც განაპირობებს:

ა) შესაბამისი (კომპანიისათვის გადაცემული) მიწის ნაკვეთის თავდაპირველი მესაკუთრისათვის დაბრუნებას ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, იმ შემთხვევაში თუ თავდაპირველი მესაკუთრე არის სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობა;

ბ) კომპანიისათვის პროექტის განხორციელების უფლების ჩამორთმევას.

3.10. საქართველოს მთავრობის ვალდებულებები

ა) მთავრობა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში კომპანიის მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფს სათანადო დახმარებას ამ უკანასკნელის მიერ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო დოკუმენტაციისა და ინფორმაციის მოპოვებაში;

ბ) მთავრობა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ყველანაირად შეუწყობს ხელს კომპანიას, პროექტის განხორციელებაში, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს სათანადო ნებართვების, ლიცენზიებისა და საჭირო მიწის ნაკვეთის მისთვის გადაცემასთან.

3.11. ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი (ესკო) იღებს ვალდებულებას კომპანიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შეისყიდოს წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში აშენებული პიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვებიდან 10 წლის განმავლობაში, თითოეული წლის ზამთრის პერიოდში, კერძოდ 3.3. პუნქტში მითითებული თითოეული წლის 3 თვის განმავლობაში პიდროელექტროსადგურის მიერ გამოშუშავებული ელექტროენერჯის სრული ოდენობა წინასწარ გაფორმებული გარანტირებული

I. T
A. (Handwritten signature)

შესყიდვის ხელშეკრულებით, რომელშიც ტარიფი განისაზღვრება 4,1 აშშ ცენტის ოდენობით;

3.12. ურთიერთგაგების მემორანდუმის 3.6. და 3.8. პუნქტები არ მოქმედებს, თუ კომპანიის მხრიდან ვადებულების შეუსრულებლობა განპირობებულია ფორს-მაჟორით ან მთავრობის ან/და რომელიმე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს არამართლზომიერი ქმედებით.

4. პროექტის ხარჯები

პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს სრულად გაიღებს კომპანია.

5. მემორანდუმის მოქმედება და მისი ვადაზე ადრე შეწყვეტა

5.1. ურთიერთგაგების მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 20 წლის განმავლობაში.

5.2 ურთიერთგაგების მემორანდუმის მოქმედება შესაძლებელია შეწყვეტილ იქნას 3.8. და 3.9 პუნქტების შესაბამისად.

6. ცვლილებების და დამატებების შეტანა

ურთიერთგაგების მემორანდუმში მხარეთა წერილობითი შეთანხმებით შესაძლებელია ცვლილებებისა და დამატებების შეტანა. თუ აღნიშნული ურთიერთგაგების მემორანდუმის ნებისმიერი პირობა აღმოჩნდება გამოყენებადი ან იურიდიულად ძალადაკარგული, ამ შემთხვევაში სხვა პირობები კვლავ ძალაში იქნება.

7. შეტყობინებები

მემორანდუმის ფარგლებში მხარეთა მიერ გაგზავნილი კორექსიონდენციები შედგენილ უნდა იქნეს წერილობით და გაიგზავნოს ფოსტის, კურიერის ან ფაქსის (ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით) მეშვეობით. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღებისთანავე.

8. გამოყენებული სამართალი და დავების განხილვა

8.1. მემორანდუმი დადებულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

8.2. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე მემორანდუმის პირობებს განუსრულად დაიცავენ, ხოლო დავის შემთხვევაში ეცდებიან საკითხი მოაგვარონ მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ამ მემორანდუმიდან გამომდინარე ყველა დავა განსახილველად და გადასაწყვეტად გადაეცემა საქართველოს საერთო სასამართლოებს, რომლებიც დავას განიხილავენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

I.T
A. (Handwritten signature)


9. ასლები, მემორანდუმის ენა

მემორანდუმი შედგენილია ორ ენაზე: ქართულ და ინგლისურ ენებზე, თითოეულ ენაზე 3-3 ეგზემპლარად. ამასთან ინტერპრეტაციის დროს, შეუთანხმებლობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ქართულენოვან ვერსიას.

ხელმოწერილია:

საქართველოს მთავრობის სახელით

ალექსანდრე ხეთაგური




ხელმოწერილია:

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის

კომერციული ოპერატორი“-ს სახელით


ირინა მილორავა



ხელმოწერილია:

სს „აღიანს ენერჯის“ სახელით

ირაკლი ტყეშელაშვილი



MEMORANDUM OF UNDERSTANDING

Between

Government of Georgia

And

Commercial Operator of Electric Power System, JSC

And

Alliance Energy JSC

**Tbilisi
2011**

This Memorandum of Understanding (hereinafter the "MOU") is made on November 18, 2011 (the "Effective Date") by and between the following parties:

- (1) Government of Georgia, represented by the Minister of Energy and Natural Resources of Georgia, Alexander Khetaguri,
- (2) Electricity System Commercial Operator, JSC (hereinafter the "Operator"), represented by the General Director Irina Milorava; and
- (3) Allance Energy JSC, with legal address at 47/57 M.Kostava str. Tbilisi, Georgia (the "Company"), represented by Irakli Tkebuchava.

1. Purpose

The purpose of this MOU is cooperation between the parties in order to reach an agreement on the principle terms of agreement and determine in detail the terms and conditions of business relations between the parties.

2. Subject of MOU

2.1 The Company shall ensure implementation of the project consisting of construction, operation and ownership (exploitation) of the hydro power plant (hereinafter the "Project") on the territory of Georgia, as described in the Annex to this MOU (the "Project");

2.2 The Annex to this MOU contains a description of hydro power plant to be constructed by the Company (the "Facility"), including the following information about the Facility:

- (a) Location;
- (b) Capacity;
- (c) Estimated size of required investment;
- (d) Terms of obtaining construction permit, commencement of construction and commencement of operations;
- (e) annual generation capacity.

2.3 The Company is entitled of full or partial assignment of its rights and/or obligations hereunder to any third party subject to the prior agreement with the GOG.

3. Rights and Obligations of the Parties

3.1 For the purposes of implementation of the Project, subject to the terms of this MOU and the applicable legislation, the Company shall:

- (a) Ensure due review, expertise and analysis of all required technical, economic and legal issues;
- (b) Submit to the Government the reports prepared by the company on the respective technical, economic and legal issues;
- (c) Secure the required investments in the total estimated amount of 2 800 000USD;
- (d) Ensure construction, operation and ownership (exploitation) of the hydro power plant described in the Annex in compliance with the respective terms (timelines). This shall include obtaining any and all licenses and permits required under the applicable legislation of Georgia;
- (e) Submit to the Government from time to time, on quarterly basis, full information about the progress of the implementation of the Project.

3.2 The Company hereby undertakes that during implementation of the Project it shall ensure full compliance with all technical, economic, financial, legal and other terms listed for the Facility in the Annex.

3.3 For the purposes of power supply of the country, for the duration of ten years from the date of commencement of operations of the power plant constructed by the Company within the

I. T
n. 02/24

framework of this MOU, in the winter of each year, namely the months of November, December and January, the full power capacity generated by each of the power plants shall be sold (in accordance with the Power Balance) exclusively for the purposes of meeting the internal requirements of Georgia, which shall be reflected in the Power (Capacity) Balance of the respective year or other similar document.

3.4 For the purposes of Section 3.3 above, for the duration of ten years from the date of commencement of operations of the power plant, during three months of the winter period as indicated in Section 3.3, such power plant shall sell the power at the decision of the respective entity to any purchaser in Georgia under a free (deregulated) tariff and/or in accordance with the Guaranteed Power Purchase Agreement with the Operator (a standard form of which may be attached to this MOU), with tariffs of amount of 4,1US Cents per KWh.

3.5 In the period indicated in Sections 3.3 and 3.4 above, the power generated by the Company through the Facility shall not be dispatched for export and shall be sold in accordance with Section 3.4, while in other months of the year the Company shall be free in the choice of the market (local/export), purchaser of the power and price of the power to be sold.

3.6 For the purposes of securing construction and commencement of operation of the Facility, the Company has provided the Government with a Bank Guarantee for the amount of 340 000 (three hundred forty thousand) USD (copy is attached):

3.6.1 The Government shall be entitled to redeem the bank guarantee presented by the Company, claim and receive the fund in the following cases:

- (a) Company breaches the term of commencement of construction of the Facility or commencement of operations;
- (b) Company breaches other conditions related to the Facility and contained in this MOU or its Annex.

3.6.2 The Bank Guarantee submitted by the Company to the Government shall be valid including October 6, 2013. If, due to reasons independent from the parties, the term of commencement of operation of the Facility under this MOU is extended (moved), the Government may request extension of the validity term of the Bank Guarantee presented by the Company or submission of a new Bank Guarantee on the same terms. In case of failure by the Company to meet this requirement of the Government within reasonable time, the Government may demand the funds under the Bank Guarantee effective at that time from the issuing Bank.

3.7 Following request of a Bank Guarantee under Section 3.6.1 above, the Government shall determine together with the Company the new terms (timelines) for obtaining construction permits, commencement of construction works and commencement of operations of the Facility. In such case the Company shall submit a new Bank Guarantee on the amount indicated in Section 3.6 within ten business days following such request from the Government. The Government may redeem the new Guarantee in accordance with Section 3.6.1 above, subject to the new terms of obtaining a construction permit, commencement/completion of construction works and commencement of operation of the Facility, as agreed with the Company. In case of failure by the Government to reach an agreement with the Company on the new terms of obtaining a construction permit, commencement of construction works and commencement of operation of the Facility or failure by the Company to submit a new Bank Guarantee, the Government may act in accordance with Section 3.8 hereof.

3.8 In case of breach (delay) by the Company of the term of obtaining a construction permit, commencement/completion of construction works and commencement of operation of the Facility,

I. T
n. 05031-31

as indicated in Section 3.7 above, the Government may unilaterally, by serving a written notification, terminate this MOU. As a result of such termination:

(a) Respective land plot (transferred to the Company) shall be returned to the initial owner without any compensation, if the initial owner of the land plot is the State or local self-governance bodies;

(b) The right of the Company to implement the respective part of the Project shall be terminated.

3.9 In case of breach by the Company of the terms of Section 3.6.2 above, the Government may unilaterally, by serving a written notification, terminate this MOU. As a result of such termination:

(a) Respective land plot (transferred to the Company) shall be returned to the initial owner without any compensation, if the initial owner of the land plot is the State or local self-governance bodies;

(b) The right of the Company to implement the Project shall be terminated.

3.10 The obligations of the Government of Georgia are the following:

(a) Within its authorities, upon receiving a respective request from the Company, the Government shall provide due assistance to the Company in obtaining the documents and information required for the implementation of the Project;

(b) The Government shall assist the Company in implementation of the Project in any manner within its authorities, which may include issuance of required permits, licenses and allocation of required land plots, in accordance with the applicable legislation of Georgia.

3.11 In case of adoption of a respective decision by the Company, the Commercial Operator of Electric Power System hereby undertakes to purchase during three months of winter of each year, as indicated in Section 3.3 above, the full capacity of the power generated by the hydro power plant constructed within the framework of this MOU during 10 years from the commencement of operations in accordance with the terms of Guaranteed Power Purchase Agreement executed in advance (standard form may be attached to this MOU in form of Annex), with the tariffs of amount of US cents 4,1.

3.12 Sections 3.6 and 3.8 of this MOU shall not apply if the failure by the Company to comply with the terms of the MOU is caused by Force Majeure or unlawful actions on part of the Government and/or any state body.

4. Project Expenses

The expenses related to the implementation of the Project shall be fully borne by the Company.

5. Effectiveness of the MOU and its Termination

5.1 This MOU shall enter into force from the moment of its execution and shall remain in full force and effect for 20 years.

5.2 The MOU may be terminated in accordance with the terms of Section 3.8 and 3.9.

6. Amendments

This MOU may be amended by written agreement of the parties. If any provision of this MOU becomes invalid or unenforceable, the validity of other provisions shall not be affected.

7. Notifications

Any correspondence sent by the parties within the framework of this MOU shall be made in writing and shall be sent by mail, courier service or facsimile transmission (with the original to follow). The notification shall enter into force immediately upon its receipt by the recipient.

8. Governing Law and Dispute Resolution

8.1 This MOU shall be governed by the laws of Georgia.

J. T
n. (85) 3/31

8.2 The parties agree that they shall strictly comply with the terms of this MOU, but in case of a dispute between the parties, they shall attempt to resolve such dispute through negotiations. In case of failure to reach an agreement, all disputes arising out of this MOU shall be resolved by common courts of Georgia, in accordance with the applicable legislation of Georgia.


9. Counterparts, Language of MOU

This MOU is made in two languages – Georgian and English, three original counterparts in each language. In case of any inconsistency between the two texts of the MOU, the Georgian text shall prevail.

Signed:

On Behalf of the Government of Georgia


Alexander Khetaguri

A handwritten signature in black ink, consisting of several loops and a horizontal line, positioned above a solid horizontal line.

Signed:

On Behalf of the Electricity System Commercial Operator, JSC

Irina Millorava

A handwritten signature in black ink, featuring a large circular loop and a horizontal line, positioned above a solid horizontal line.

Signed:

On behalf of Alliance Energy JSC

Irakli Tkebuchava

A handwritten signature in black ink, appearing to be the name 'I. Tkebuchava' written in a cursive style, positioned above a solid horizontal line.

Annex No.1 დახატოი №1

Location / ადგილმდებარეობა

№	Name / სახელწოდება	Region, River / რეგიონი, მდინარე
1.	Nabeglavi HPP / ნაბეღლავი ჰესი	Chokhatauri Region, Gubzauli River / იმერეთის რეგიონი, მდინარე ბუზაბუჯული

I. T

რ. 0125453

Annex No.2 რეზიუმე №2

Capacity / სიმძლავრე

№		Estimated Capacity in MW / დადგენული სიმძლავრე მგპმ.
1.	Nabeglavi HPP / ნაბეღლავი ჰესი	1.9 MW

I.T

~03355

Annex No.3 գանձում №3

Size of Investment / օճեցնելու չափը

№	Name / Անվանում	Size of Investment USD / օճեցնելու չափը ԱՄՆ դոլարում
1.	Nabeglavi HPP / Նաբեգլավի ՀԷԿ	2 800 000 USD / 2 800 000 ԱՄՆ դոլարում

IT
0.053/5

Terms of Obtaining Construction Permits, Commencement of Construction, Completion of Construction and Commencement of Operations / მშენებლობის ნებართვის აღების, მშენებლობის დაწყების, მშენებლობის დასრულების და ექსპლუატაციაში გაშვების ვარა

N° Name/სახელი წოდება	Commencement of construction works (preparatory works that implies commencing construction of the internal onsite roads, allocation/construction of temporary facilities, setting temporary communications)/ სამშენებლო სამუშაოების დასაწყისად რეგულირებადი გზების, დროებითი მოწყობის, დროებითი მშენებლობის/განთავსების, დროებითი კომუნიკაციების მოწყობის) დაწყების ვარა	Date of Obtaining Construction Permit / მშენებლობის ნებართვის აღების ვარა	Completion of Construction Works მშენებლობის დასრულების ვარა	Commencement of Operation / ექსპლუატაციაში გაშვების ვარა
1. Nabejlavi HPP / ნაბეჯლავის ჰესი	15/12/2011	1/2/2012	30/05/2013	28/06/2013

I.T
0.0335

Annex No.5 რანგირი №5

Annual Generation / წლიური გამომუშავება

№	Name / სახელწოდება	Annual Capacity mln. KWH / წლიური გამომუშავება მლნ. კვტ/სთ
1.	Nabeglavi HPP / ნაბეღლავი ჰესი	13

IT

~ (5) 25 25



თბილისი

06 ოქტომბერი 2011 წელი

გარანტი: სს „საქართველოს ბანკი“ (შემდგომში „გარანტი“)
გარანტის საიდენტიფიკაციო კოდი: 204378869
გარანტის მისამართი: პუშკინის ქ. #3, თბილისი, 0105, საქართველო
პრინციპალი: სს ალიანს ენერჯი (შემდგომში „პრინციპალი“)
პრინციპალის საიდენტიფიკაციო კოდი: 404393553
პრინციპალის მისამართი: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონში, მ. კოსტავას ქ., №47/57
ბენეფიციარი: საქართველოს მთავრობა (შემდგომში „ბენეფიციარი“)
ბენეფიციარის მისამართი: ქ. თბილისი, ინგოროყვას #7
საგარანტიო თანხა: 340,000.00 (სამასორმოცი ათასი) აშშ დოლარი

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ პრინციპალმა წამყვანის ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობის მიზნით იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ, გარანტი, თანახმა ვართ გავცეთ პრინციპალის სახელზე აღნიშნული საბანკო გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე, არაუმეტეს ჯამში 340,000.00 (სამასორმოცი ათასი) აშშ დოლარი და ვკისრულობთ ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდას პრინციპალის მიერ წარდგენილი განაცხადის და მემორანდუმის პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე.

მოთხოვნა საგარანტიო თანხის ანაზღაურებაზე ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს სათანადოდ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული წერილობითი ფორმით, სადაც მითითებულ იქნება მოთხოვნილი თანხა ციფრობრივად და სიტყვიერად და განმარტებული უნდა იყოს კონკრეტულად განაცხადის ან/და პრინციპალისა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული მემორანდუმის რა პირობები იქნა დარღვეული პრინციპალის მხრიდან. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს მოთხოვნაზე ხელმოწერილი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი; საბანკო გარანტიის ასლი და წინამდებარე საბანკო გარანტიის მოქმედების პერიოდში თუ ადგილი აქვს ანგარიშსწორებას, განხორციელებული ანგარიშსწორების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი, რომლითაც დგინდება, რომ პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ანგარიშსწორება ბენეფიციარის მხრიდან განხორციელდა ან/და ხორციელდება მხოლოდ სს „საქართველოს ბანკში“ პრინციპალის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია პრინციპალის მიერ მემორანდუმის პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე, მაგრამ არაუგვიანეს: 06 ოქტომბერი 2013 წელი, შესაბამისად წინამდებარე გარანტია მოქმედებს აღნიშნული თარიღის ჩათვლით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საბანკო გარანტიაზე მოთხოვნა ან პრეტენზია წარმოდგენილ უნდა იქნეს აღნიშნულ თარიღამდე შემდეგ მისამართზე: სს „საქართველოს ბანკი“ (ს/კ: 204378869), სათაო ოფისი, პუშკინის ქ. #3, თბილისი, 0105, კანცლარიის სამსახურში-ვაკრობის ფინანსირების დეპარტამენტის საფურადღებოდ.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით.
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმისა და საბანკო გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებისას.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულარდება საქართველოს კანონმდებლობით.

ნიკოლოზ ალიბეგოვი

რეგიონალური კორპორატიული საბანკო მომსახურების დეპარტამენტის დირექტორი





ამონაწერი მეწარმეთა და
არასამეწარმეო (არაკომერციული)
იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 372126
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B11143356
ამონაწერის მომზადების თარიღი: 05/10/2011 10:20:37

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: სს ალიანს ენერჯი
იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონში, მ.
კოსტავას ქ., №47/57
საიდენტიფიკაციო კოდი: 404393553
სამართლებრივი ფორმა: სააქციო საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის
თარიღი: 12/01/2011
მარეგისტრირებელი ორგანო: საქარო რეესტრი
საგადასახადო ინსპექცია: თბილისის რეგ.ცენტრი ძველი თბილისის გ-ბა
მართველობითი ორგანო: სამეთვალყურეო საბჭო

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01009011892, ირაკლი ტყეშუჩავა,
, , აღმასრულებელი დირექტორი

დამფუძნებლები

ყაღალა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის


მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის
უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება:
<http://public.reestri.gov.ge> ან დაგვიკავშირდეთ: 25 15 27; 895 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე საქარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურსა და ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

010135009328111

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge *010135009328111*
24 a, Gorgasani str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№49334

17 / ნოემბერი / 2011 წ.

საქართველოს ენერჯეტიკისა და ზუნებრივი
რესურსების მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო ენუქიძეს


ქალბატონო ნინო,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი ამა წლის 16 ნოემბრის №04/4937 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და სს „ალიანს ენერჯის“ შორის გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი, რომელთან დაკავშირებით სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს. თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ ტექნიკურ ჩასწორებას საჭიროებს დანართი 4-ში მოცემული მშენებლობის ნებართვის აღების ვადა.

პატივისცემით,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო,
მინისტრის პირველი მოადგილე

თინა ბურჯალიანი



საქართველოს მთავრობის

განკარგულება

№2214 2011 წლის 18 ნოემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ და სს „ალიანს ენერჯის“ შორის ნაბეღლავი ჰესის წმენბლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ დასაადები ურთიერთგაგების მემორანდუმის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ და სს „ალიანს ენერჯის“ შორის ნაბეღლავი ჰესის წმენბლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ დასაადები ურთიერთგაგების მემორანდუმი.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, მემორანდუმს საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა.

პრემიერ-მინისტრი

ნიკა გილაური